

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებ-გვერდის ([www.folk.ge](http://www.folk.ge)) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 22 ივნისი

---

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

[www.idfi.ge](http://www.idfi.ge) / [www.opendata.ge](http://www.opendata.ge)

[info@idfi.ge](mailto:info@idfi.ge)




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრი


[www.folk.ge](http://www.folk.ge)

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI  
პარამეტრების მიხედვით



■ ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე  
 ■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი



## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

### ➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის დირექტორის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. არ მოიძიება ცენტრის დირექტორის ფაქსის ნომერიც. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს დამატებით განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ცენტრის დირექტორი“, სადაც მოყვანილი იქნება შესაბამისი ინფორმაცია.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე მისი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა. არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის ფაქსის ნომერიც. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს დამატებით განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „დირექტორის მოადგილე“, სადაც მოყვანილი იქნება შესაბამისი ინფორმაცია.

3. ცენტრის სრული სახელწოდებაა - „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. სასურველია განყოფილებაში „კონტაქტი“ შეიქმნას ცენტრის სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები):

✉ ჩვენს შესახებ

**სტრუქტურა**



დირექტორი - *გიორგი უშიკიშვილი*  
Tel: (995 32) 19 29 29  
E-mail: [g.ushikishvili@folk.ge](mailto:g.ushikishvili@folk.ge)

დირექტორის სამდივნო  
მდივანი - *ბელა ნათელაური*  
Tel: (995 32) 19 29 29 (101)  
Fax: (995 32) 95 75 03  
E-mail: [b.natelauri@folk.ge](mailto:b.natelauri@folk.ge)

დირექტორის მოადგილე - *სოფია ლობჯანიძე*  
Tel: (995 32) 19 29 29 (110)  
E-mail: [s.lobzhanidze@folk.ge](mailto:s.lobzhanidze@folk.ge)

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

5. მართალია, ცენტრის ვებ-გვერდზე არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“, თუმცა მასში არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ხე და ყველა მოქმედი სტრუქტურული ერთეულის ჩამონათვალი;
- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- სასურველია ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები გამოყოფილ იქნეს განცელკევებულად;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, მათი კომპეტენციის აღწერა, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და ფაქსის ნომრები, აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:

**მუსიკალური ხელოვნების მიმართულება**

მიმართულების ხელმძღვანელი - **ნანა ვალიშვილი**

Tel: (995 32) 19 29 29 (115)

E-mail: [n.valishvili@folk.ge](mailto:n.valishvili@folk.ge)

კოორდინატორი - **თეა კასაბური**

Tel: (995 32) 19 29 29 (115)

E-mail: [t.kasaburi@folk.ge](mailto:t.kasaburi@folk.ge)

**ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულება**

მიმართულების ხელმძღვანელი - **უჩა დვალიშვილი**

Tel: (995 32) 19 29 29 (116)

E-mail: [u.dvalishvili@folk.ge](mailto:u.dvalishvili@folk.ge)

**ზეპირსიტყვიერების მიმართულება**

მიმართულების ხელმძღვანელი - **ეთერ თათარაიძე**

Tel: (995 32) 19 29 29 (112)

E-mail: [e.tataraidze@folk.ge](mailto:e.tataraidze@folk.ge)

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. მონაცემები, რომლებიც განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე უშუალოდ ეხება ცენტრის საქმიანობის სფეროს თუმცა მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებათა ბაზები, სტატისტიკური მაჩვენებლები, ტენდერებისა და ვაკანსიათა არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

➤ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

7. ვებ გვერდზე არ მოიძიება ცნობები ცენტრის დირექტორისა და მისი მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ამა თუ იმ ღონისძიებებში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

8. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები („საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 2009 წლის ანგარიში“ და „ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ანგარიში“) მოცემულია ძველი მდგომარეობით. სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს ცენტრის საქმიანობის როგორც მიმდინარე ანგარიშები (კვარტალური [2011] და წლიური [2010]), აგრეთვე 2009 წლამდე არსებული ყოველწლიური ანგარიშები.

9. ვებ-გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს ცენტრის უახლესი - 2010-2011 წლის მთავარი პრიორიტეტები.

10. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

12. სასურველია ვებ-გვერდზე განყოფილებაში „პროექტები“ არსებობდეს იმ პროექტების ჩამონათვალი/სია, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აღსანიშნავია ისიც რომ განყოფილებაში „პროექტები“ არსებული ქვე-განყოფილება „სამომავლო“ არ მუშაობს.

13. სასურველია ცენტრის ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - „პროგრამები“, რომელიც მოიცავს იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.



14. სასურველია ცენტრის ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე)-განყოფილება „მასტერკლასები“, სადაც განთავსებული იქნება შესაბამისი ცნობები:



➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, (მოიძიება მხოლოდ ერთადერთი პრეზიდენტის განკარგულება) რომელშიც განთავსებული იქნებოდა ცენტრის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ტექსტები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და ცენტრის გენერალური დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცენტრის დებულება და შინაგანაწესი შესაბამის განცალკევებულ (ქვე- ) განყოფილებებში:





გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმებიც/ნიმუშებიც:

**საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობა**

**მთავარი კოორდინატორი ორგანიზებას უწევს:**

- ფოლკლორის ცენტრის პრესკონფერენციებს;
- ფოლკლორის ცენტრში მიმდინარე და დასრულებული პროექტების პრეზენტაციას;
- ამზადებს ინფორმაციასა და პრესრელიზებს ცენტრის საქმიანობის შესახებ
- მუშაობს ცენტრის ვებგვერდის განახლებაზე.

**ფოლკლორის ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ ქურნალისტს შეუძლია მიმართოს მთავარ კოორდინატორს და მიიღოს ინფორმაცია:**

- დაგეგმილ და უკვე განხორციელებულ პროექტებზე
- ცენტრში არსებულ საჯარო ინფორმაციებზე;
- მონაცემები ფოლკლორის ყველა დარგის (სიმღერა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სახალხო დღესასწაულები და რიტუალები, მოყვარულთა თეატრები) შესახებ;

მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი კოორდინატორი ოპერატიულ დახმარებას უწევს ქურნალისტებს ცენტრიდან ინფორმაციისა ან დირექტორის და სხვა ოფიციალური პირის კომენტარის მოსაპოვებლად.

ნებისმიერ **საკითხზე**, ქურნალისტებს და დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ მიმართონ ცენტრის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი კოორდინატორს

➤ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ტენდერების არქივი, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ამომწურავი ინფორმაცია.

19. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები:



03.05.2010

**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ქუთაისის ფოლკლორის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა**

2010 წლის 2 მაისს, ქუთაისობას, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის ფოიეში ხელი მოეწერა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ქუთაისის ფოლკლორის

ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმს ხელი მოაწერა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა და ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა ზეინაბ ბურჯანაძემ.

ამავე დღეს თეატრის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ახალი შემადგენლობის პრეზენტაცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული ხალხური შემოქმედების ოსტატები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუმრები უცხოეთიდან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**


21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ ცენტრის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.


ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ და *მისთ.*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



## ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი


■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე






## ➤ ნავიგაცია

ნავიგაცია საკმაოდ რთული აღსაქმელია, რადგან მენიუს პუნქტები გაფანტულია სხვადასხვა ადგილას. ასეთ შემთხვევებში, რეკომენდირებულია მენიუს პუნქტების ერთიანი სქემის შედგენა ან სქემატური გვერდის გაკეთება, სადაც გაცილებით მარტივი იქნება ერთიანი სურათის აღქმა:




## ➤ ძიება

ვებ-გვერდზე უშედეგო ძიების შემთხვევაში, არ ჩნდება აღნიშნული ფაქტის შეტყობინება. აუცილებელია, რომ მომხმარებელი სათანადო შეტყობინებით დარწმუნდეს ვებ-გვერდზე ინფორმაციის არ არსებობაში:




ამავე დროს, ვებ-გვერდზე ძიების შედეგები საკმაოდ გაუგებარად არის წარმოდგენილი და მომხმარებლისთვის რთულია იმის აღქმა, თუ სად არის განთავსებული მოძიებული ინფორმაცია:



აუცილებელია აღინიშნოს, რომელ კატეგორიებში დაემთხვა სამიზნო სიტყვა არსებულ ინფორმაციას და ვაჩვენოთ ის მონაკვეთი, სადაც მოხდა საკვანძო სიტყვის დამთხვევა.

ძიების ფუნქციის კიდევ ერთი ნაკლია ის, რომ სამიზნო ფორმაში შესაძლებელია მხოლოდ ქართული შრიფტის გამოყენება და არ ფუნქციონირებს ინგლისური შრიფტი:




როგორც წესი, სიმბოლო ~ ცვლის ასარჩევი ენის ფუნქციას, ვებ-გვერდზე ეს ფუნქცია მუშაობს, თუმცა პრობლემა არის ის, რომ აღნიშნული სიმბოლოს გამოყენება არც თუ ისე გავრცელებულია. ძიების მარტივ ფორმასთან ერთად აუცილებელია მიეთითოს ენის ასარჩევი მენიუც.

### ➤ WAP


არსებობს ვებ-გვერდის WAP ვერსია, თუმცა ის არაფრით განსხვავდება ვებ-გვერდის ორიგინალურ ვერსიისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ ვებ-გვერდის WAP ვერსიას სრულყოფილად ვერ ჩატვირთავ და ვერ გამოიყენებ მობილურ ტელეფონის საშუალებით.

### ➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ძიების შედეგად დაირღვა საიტის სტრუქტურა (ძიების საკვანძო სიტყვა იყო: „სიახლეები“):



ვებ-გვერდის სტრუქტურა ირღვევა, აგრეთვე, სპეციალური სიმბოლოების ჩაწერის შემთხვევაში:



### ➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე აღმოჩენილია **XSS bug**-ი რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. უსაფრთხოებისთვის ამ ნაკლის შესახებ დეტალურად აქ არ დავწერთ, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში აუცილებლად მივაწვდით ცენტრის თანამშრომლებს სათანადო ინფორმაციას.

### ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის მთავარი ნაკლი არის ის, რომ ვებ-გვერდი რთულად არის კონსტრუირებული ინფორმაციისა და დიზაინის თვალსაზრისით. ვებ-გვერდის სტრუქტურა არ არის სწორად დაგეგმილი, შესაბამისად, რთულია ვებ-გვერდზე ორიენტაცია და საჭირო ინფორმაციის მოძიება. აგრეთვე, არსებობს სხვადასხვა წვრილმანი ტექნიკური ხარვეზებიც.

მთლიანობაში ვებ-გვერდი არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, თუმცა ის საჭიროებს დახვეწას, ინფორმაციის სწორად განლაგებას და ტექნიკური წუნის (**XSS bug**) აღმოფხვრას.